ეკრანი

შპს ციფრავიკ-საქართველოს

გენერალურ დირექტორს

ბეკა ანდრიაძეს

ასლი: თიბისი ბანკს

მოქ: [redacted]

პირადი [redacted]

მისამართი: თბილისი, [redacted]

[redacted]

განცხადება

გაცნობებთ, რომ 2012 წლის 26 ივლისს თქვენს მაღაზიაში შევიძინე ნოუთბუქი ACER Aspire V%-431-967B2G32Mass. იმავე წლის 13 აგვისტოს შევამჩნიეთ, რომ ნიუთბუქის ეკრანი უჩვეულოდ ხურდებოდა, დაიწყო ციმციმი, თანდათან გაუჩნდა ლაქები და მოხდა ჩარჩოს დეფორმირება გადახურების გამო.

14 აგვისტოს ნოუთბუქი ჩავაბარე მაღაზიას შესამოწმებლად. 16 აგვისტოს მაღაზიის პესონალმა გვაცნობა, რომ სერვის-ცენტრმა კომპიუტერი შეამოწმა და დაადგინა, რომ ეკრანს ქარხნული წუნი აქვს, გამოიწერა ახალი ეკრანი, რომელსაც 2-3 კვირაში მიიღებენ და დააყენებენ.

გვინდა გავამახვილოთ ყურადღება იმ ფაქტზე, რომ ნოუთბუქის ნაკლის მქონე ეკრანი იმდენად ხურდებოდა, რომ პლასტმასის ჩარჩოს დეფორმაცია გამოიწვია. ეს ნიშნავს, რომ ამის გამო კომპიუტერის სხვა ნაწილებმაც განიცადა უჩვეულო და გაუთვალისწინებელი თერმული ზემოქმედება, რომელზეც ისინი გათვლილი არ იყო. მიგვაჩნია რომ, ამ ზემოქმედების გამო მთლიანად ნოუთბუქის საიმედოობა და ნივთის ფასეულობა სერიოზულად არის შელახული და მხოლოდ ერთი ან რამოდენიმე ნაწილის (ეკრანი, ან თუნდაც დეფორმირებული ჩარჩოს) გამოცვლა არ აღმოფხვრის იმ ნივთობრივ ნაკლს, რომელიც ეკრანის გადახურებას შეიძლება გამოეწვია.

აღნიშნულის გამო გთხოვთ გამოგვიცვალოთ ჩვენს მიერ შეძენილი კომპიუტერი ანალოგიური ახალი ნოუთბუქით, რომელსაც გავლილი აქვს ქარხნული შემოწმება და საიმედოა. წინააღმდეგ შემთხვევაში გთხოვთ გააუქმოთ ნასყიდობის ხელშეკრულება.

[redacted]

16 08 2012

16.08.2012г.

Заявление принято

С.А. Карпицкая